**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
**კოლეჯი „მოდუსი"**

სსიპ კოლეჯი
მოდუსი

# ბრძანება №154

რუსთავი

„21" 10 2020 წ.

**სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის წესის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის N44/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „მოდუსი"-ს წესდების მე-5 მუხლის „თ" პუნქტის და სასწავლო პროცესის მენეჯერის 2020 წლის 9 ოქტომბრის N968403 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად,

**ვბრძანებ**

1. დამტკიცდეს სსიპ კოლეჯი „მოდუსი"-ს სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის წესი დანართი N1 შესაბამისად;
2. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
3. დაევალოს კოლეჯის IT სპეციალისტს დავით მარანელს უზრუნველყოს ბრძანების გამოქვეყნება კოლეჯის ვებგვერდზე;
4. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერს ანა კაპანაძეს ბრძანება შესასრულებლად გადაუგზავნოს IT სპეციალისტს;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6)

**კარლო კერვალიშვილი**

დირექტორი

დამტკიცებულია

სსიპ კოლეჯი მოდუსი-ს დირექტორის

2020 წლის 21 ოქტომბრის N 154 ბრძანებით

**დანართი #1**

**სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის წესი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1.1. სსიპ კოლეჯი მოდუსის სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის წესი (შემდგომ წესი) განსაზღვრავს კოლეჯში საჭიროების შემთხვევაში, როგორც ალტერნატიული სწავლების მოდელით ჩანაცვლების პირობებს.

1.2. სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის წესი (შემდგომ წესი) ვრცელდება სასწავლო პროცესში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროფესიული სტუდენტებზე.

1.3. სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის პროცესში, გამოიყენება და ვრცელდება, კოლეჯში მოქმედი ყველა წესი და რეგულაცია, რაც ეხება სასწავლო პროცესის ორგანიზებას და შესაძლოა გამოყენებულ იქნას დისტანციურად სწავლების რეჟიმში.

**მუხლი 2. დისტანციური სწავლების მოდელზე გადასვლის წინაპირობა.**

2.1 ეპიდემიით ან პადემიით გამოწვეული მდგომარეობისას, დადგენილი დროებითი შეზღუდვები;

2.2 რთული მეტეოროლოგიური პირობები.

3.2 ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა და სხვა.

**მუხლი 3. სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის პროცედურები**

3.1. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სრულიად ელექტრონულად, სინქრონულად, კოლეჯში მიღებული რომელიმე ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით.

3.2. ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით ერთდროულად ერთვებიან პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები.

3.3. გაკვეთილები მიმდინარეობს, დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული საგაკვეთილო ცხრილის შესაბამისად.

3.4. გაკვეთილების ხანგრძლივობა განსაზღვრულია, დამტკიცებული საგაკვეთილო ცხრილის შესაბამისად.

**მუხლი 4. პროფესიული განათლების მასწავლებლის მოვალეობები.**

4.1. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, დაიცვას ბრძანებით დამტკიცებული ცხრილის განრიგი და დროულად მოახდინოს ელექტრონულად გაკვეთილის დაწყება და ორგანიზება.

4.2 პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, მაქსიმალურად გამოიყენოს ყველა ის სწავლების მეთოდი, რომელიც ელექტრონული სწავლების ფორმატში ყველაზე უფრო ეფექტურია და ხელს უწყობს შედეგების მიღწევას.

4.3 პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, მკაცრად აკონტროლოს პროფესიული სტუდენტების დასწრება.

4.4 პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, მაქსიმალურად უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა.

4.5 პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, გაკვეთილის ჩაშლის, გადადება-აღდგენის შემთხვევა, აცნობოს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერს, შემდგომი რეაგირებისთვის.

4.5 პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან ერთად, უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთათვის ადაპტირებული, ვიზუალური მასალის ხელმისაწვდომობა, დაზუსტებული სასწავლო მოდულის შესაბამისად. (სსსმ სტუდენტის შესაძლებლობიდან გამომდინარე ჩართვის შემთხვევაში)

**მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის მოვალეობები.**

5.1 პროფესიული სტუდენტი ვალდებულია, საგაკვეთილო ცხრილის მიხედვით ჩაერთოს სასწავლო პროცესში.

5.2 პროფესიული სტუდენტი ვალდებულია, ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას და გამორიცხოს ნებისმიერი ხელისშემშლელი ფაქტორი.

5.3 პროფესიული სტუდენტი ვალდებულია, გაითვალისწინოს პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ მიწოდებული ინსტრუქციები.

5.4 პროფესიული სტუდენტი ვალდებულია, საგაკვეთილო პროცესში ჩართული ქონდეს ვებ-კამერა, მიკროფონი, რათა პროფესიული განათლების მასწავლებელს ქონდეს მისი ვიზუალურად დანახვის და მოსმენის შესაძლებლობა.

**მუხლი 6. საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგი**

6.1 გაკვეთილების მსვლელობა უნდა იქნეს ჩაწერილი შემდგომი მონიტორინგის მიზნით.